Art Foundation Anagi

ტექსტი: **მარიამ შერგელაშვილი,** ხელოვნებათმცოდნე, დამოუკიდებელი მკვლევარი,
Text by **Mariam Shergelashvili,** Art historian, independent researcher

იმპრესუმი:
პროექტის იდეის ავტორი და კურატორი: **თეა გოგუაძე-აპფელ**
პროექტის მრჩეველი: **მარიამ შერგელაშვილი**
ფოტოდოკუმენტაცია: **გიორგი შენგელია**
თარგმანი - **არჩილ ჩიქოვანი**
დიზაინი: **ირინა კაჭარავა – შპს iStudio**

IMPRESSUM
Project Concept and Curator: **Thea Goguadze-Apfel**
Project Advisor & Exposition Designer : **Mariam Shergelashvili**
Photodocumentation: **Giorgi Shengelia**
Translation **Archil Chikovani**
Design: **Irina Kacharava, iStudio LLC**

Art Foundation Anagi
TBILISI

KetoMa

ხვალ შენ გაქრები და მეც

Crop Up გალერეა ფოტოატელიეს ახალი საგამოფენო ინიციატივაა, რომლის ფარგლებშიც ფოტოგრაფ KetoMa-ს ახალი სერია ხელოვნების ფონდ ანაგის სივრცეშია წარმოდგენილი. საფრანგეთში, არკაშონის სანაპიროზე 2025 წელს გადაღებული ეს სერია სივრცის, დროისა და გაქრობის მყიფე თანაარსებობას იკვლევს.

არკაშონი, ბისკაის ყურის პერიფერია, წარმოადგენს ლანდშაფტს, სადაც ზღვა და ხმელეთი მუდმივად ცვლიან ერთმანეთის საზღვრებს. ქვიშის კუნძულები ჩნდება და ქრება, ჰორიზონტი კი არასდროს რჩება ფიქსირებული. არკაშონის სიახლოვეს ევროპაში ყველაზე მაღალი ქვიშის დიუნა მდებარეობს. ეს გეოგრაფიული მოცემულობა KetoMa-ს ახალ სერიაში სიმბოლურ და შთამაგონებელ მოტივებად გარდაიქმნება. ადგილის მასშტაბი და მუდმივი გადაადგილება ლანდშაფტს ცოცხალ სკულპტურად წარმოადგენს, სადაც სტაბილურობა მხოლოდ დროებითი ილუზიაა. ამ არამყარ სივრცეს, დოკუმენტურად აღბეჭდვის ნაცვლად, ფოტოგრაფი ცვალებად მდგომარეობად გარდაქმნის.

ავტორისთვის არკაშონის ზღვა გეოგრაფიული მოგზაურობის არა კონკრეტული მომენტის გახსენება, არამედ საზღვრის სხეულებრივი და სივრცული განზომილების წარმოსახვაა. ზღვა... საზღვარი... მკაფიო კონტურების გაქრობა, დაშლა და მიახლოება უფრო ფაქიზ მეტამდგომარეობასთან გვაახლოვებს. ადამიანის თითქმის გაქრობამდე მიყვანილი არსებობა კი წერტილოვნად ფიქსირდება. ეს არის ყოფის, წარმავლობისა და ესთეტიკის მარადიულად მგრძნობიარე ხასიათთან შეხვედრა. ფოტოსერიაში, ერთმანეთისგან მცირედი დეტალით განსხვავებულ გამოსახულებებზე დაკვირვებით, მნახველი თანდათან შეიგრძნობს ცვლილების უმნიშვნელო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტს. ქვიშის შეგრძნება, ზღვის სუნი, ფერის ნელნელა დაშლა პარადოქსულად ამძაფრებს ილუზორულ-ოპტიკურ განზომილებას, სადაც გაქრობა არა დასასრული, არამედ მდგომარეობაა.

ხელოვანის შესახებ

KetoMa თანამედროვე ფოტოგრაფია, რომელიც მუშაობს როგორც არტისტულ, ისე კომერციულ და მოდის ფოტოგრაფიის სფეროებში. პროფესიული განათლება მიიღო New York Institute of Photography (NYIP)-სა და GIPA-ში, სადაც ჩამოაყალიბა თავისი ტექნიკური ხედვა, კონცეპტუალურად ორიენტირებულ ვიზუალურ პრაქტიკასთან ერთად. KetoMa-ს ნამუშევრები იკვლევს ნარატივის, ემოციისა და ვიზუალური ტრანსფორმაციის გადაკვეთას, ინდივიდუალობასა და ფოტოგრაფიული გამოსახულების პოეტურ პოტენციალს. ოსტატობისა და მხატვრული ექსპერიმენტების დახვეწილი ბალანსით, KetoMa ქმნის სურათებს, რომლებიც დოკუმენტირების ნაცვლად გამომსახველობით, მხატვრულ კომპოზიციებად გარდაიქმნება. მისი ნამუშევრები წარმოდგენილი იყო სხვადასხვა გამოფენასა და არტფეირზე, მათ შორის: ფოტო ფესტივალი Photoville, ნიუ-იორკი (2019), “ჩემი რჩეული კადრები”, BBA გალერეა, ბერლინი (2019), “ლამაზი ნაკლოვანებები”, Qlick გალერეა, ამსტერდამი (2019), TAF თბილისის ხელოვნების ბაზრობა (2019), TAF თბილისის ხელოვნების ბაზრობა (2024), AMB ბუდაპეშტის ხელოვნების ბაზრობა (2024), მსოფლიო ხელოვნება დუბაი (2024), “ეფემერული მანიპულაციები”, ჯგუფური გამოფენა, თბილისი (2024), TIFA- ტოკიოს საერთაშორისო ფოტოგრაფიის ჯილდო, საპატიო აღნიშვნა სახვითი ხელოვნების კატეგორიაში (2025).

Tomorrow: You Will Disappear, and So Will I

Crop Up is a new exhibition initiative of Gallery Fotoatelier, which presents a new series by photographer KetoMa at the Art Foundation Anagi. Shot in 2025 on the coast of Arcachon, France, the series explores the fragile coexistence of space, time and disappearance.

Arcachon, on the edge of the Biscay Bay, is a landscape where sea and land are constantly changing their boundaries. Sand islands appear and disappear, and the horizon never remains fixed. The highest sand dune in Europe is located in Arcachon. This geographical setting is transformed into symbolic and inspiring motifs in KetoMa's new series. The scale of the place and its constant movement represent the landscape as a living sculpture, where stability is only



a temporary illusion. It is in this unstable space that the photographer transforms the environment into a state, rather than documenting it.

For the author, the Arcachon Sea is a memory - an imagination not of a specific moment of geographical travel, but of the bodily and spatial dimension of the border. The sea… the border… the disappearance, dissolution and approximation of clear contours brings us closer to a more subtle meta-state. And the existence of a person brought to the point of almost disappearance is fixed pointwise. This is an encounter with the eternally sensitive nature of being, transience and aesthetics.

In the photo series, by observing the images that differ from each other in small details, the viewer will gradually feel an insignificant but decisive moment of change. The feeling of sand, the smell of the sea, the slow dissolution of color paradoxically intensify the illusory optical dimension, where disappearance is not an end, but a state.

about artist

KetoMa is a contemporary photographer working across artistic, commercial, and fashion photography. She holds formal education from the New York Institute of Photography (NYIP) and GIPA, where she developed a strong technical foundation alongside a concept-driven visual practice. Her work explores the intersection of narrative, emotion, and visual transformation, focusing on individuality and the poetic potential of the photographic image. Through a refined balance of craftsmanship and artistic experimentation, KetoMa creates images that move beyond documentation toward expressive, painterly compositions.

Her work has been featured in various exhibitions and Fairs: Photography Festival Photoville, New York (2019), "My Favourite Shots" at BBA Gallery, Berlin (2019), "Beautiful Imperfections" at Qlick Gallery, Amsterdam (2019), TAF Tbilisi Art Fair (2019), TAF Tbilisi Art Fair (2024), AMB Art Market Budapest (2024), World Art Dubai (2024), Group Exhibition – Ephemeral Manipulations, Tbilisi (2024), TIFA Tokyo International Foto Award – Honorable Mention, Fine Art (2025).